 კვირა. 9 მაისი 1910 წ.

მომღერალი მ. ი. ნანობაშვილი

თეატრი და ცხოვრება

სათეატრო და ჟურნალი

№ 18

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება დრ. საზ. კანტორაში იოსებ იმედაშვილთან. Тифлисъ.
Редакція «Театри да Цховреба»
Іос. .Зах. Имедашвили

შინაარსი: ქართული თეატრის განახლება; მეზობლური ურთიერთობა—მეთაური; უკვდავება—ნ. ლორთქიფანიძისა; ფარვანა—გ. ტაბიძისა; ახალგაზდა მსახიობთა საყურადღებოდ—ტ. სალვინისა; ა. შანშიაშვილს—კიკნა ფშაველასი; დასავლეთ ევროპიულ მოდერნიზმის ძირითადი მოტივები—ვ. დადვაძისა; მთვარევ—ი. მჭედლიშვილისა; ერთხელ მაინც—გ. ფოცხოველისა; მდინარევ—მიმქრალისა; მტარვალის ბედი დრამა—ს. გლახაშვილისა; შავი ფიქრები—იმერელი ქალისა; დრამ. მოღ. ასპარეზე—ზ. ჭიჭინაძისა; და სხ.

9 მაისი, 1910 წ.

ქართული თეატრის განახლება. ქართულმა თეატრმა უკვე ფესვები გაიდგა ხალხში, ხშირად იმართება წარმოდგენები თბილისისა და ქუთაისის გარდა სხვა დაბა-სოფლებშიაც...

შორს არაა ის დროც, როცა თეატრი ხალხის სულიერ მოთხოვნილებად გარდიქცევა...

და რომ ამ მიზანს მივაღწიოთ, თეატრის მნიშვნელობა თვითონ ჩვენვე უნდა გავაფართოვოთ... თუ გვსურს თეატრს ისე უყურებდენ, როგორც „ტაძარსა წმიდას", სულისა და გულის განმასპეტაკებელს სამლოცველოს, თვითონ სცენის მსახურთ წმიდათ უნდა დავიცათ თეატრის მნიშვნელობა და ასპარეზი...

ადამიანის სული მარად ჟამს უმაღლესის ძიებაშია, იგი თხოულობს ახალსა და ლამაზს ზე-ალმტაც საზრდოს და როცა თეატრი ადამიანის სულიერი მოთხოვნილების ამ მხარეს არ აკმაყოფილებს,—რასაკვირველია, თავის პირდაპირ გზას სცილდება, მნიშვნელობას ჰკარგავს!..

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ქართული წარმოდგენების მართვამ იმატა,—ვინ არ გინდა „არტისტობს", წარმოდგენებს მართავს...

მაგრამ წარმოდგენათა სიმრავლე არ ნიშნავს მათს ღირსებასა და ამ გარემოებას ყოველთვის არა სასურველი შედეგი მოსდევს...

ქართ. დრამ. საზ. გამგეობამ, ახლად მოწვეულმა რეჟისორებმა და დასმა მთავარი ყურადღება უნდა მიაქციონ სასცენო ხელოვნების განვითარება-განსპეტაკებას...

თბილისის ქართული თეატრი უნდა იყოს კილოს მიმცემი, უკეთესი მაგალითის აჩვენებელ-სასცენო ხელოვნების აკადემია, უმაღლესი სასწავლებელი... კადნიერებაში ნურავინ ჩამოგვართმევს და როგორც მოსკოვის სამხატვრო თეატრია თანამედროვე სასცენო ხელოვნების ტონის მიმცემი, წასაბაძავი, აგრეთივე უნდა იყოს თბილისის ქართული თეატრიც.

დიაღ, ქართულმა თეატრმა ძველი მტვერი უნდა გადიბერტყოს, ახალ გზას დაადგეს, ახალი სხივი შემოაშუქოს ჩვენის სათეატრო ხელოვნების ისტორიაში და იგი მხოლოდ ამ გზით თუ გაუწევს უკვდავს სამსახურს როგორც კერძოდ ჩვენს ეროვნულ სცენას, აგრეთვე საზოგადოდ ხელოვნებას...

—:—

მეზობლური ურთიერთობა. ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება მარწუხებითაა შეხუთული, ჰაერი მოშხამულია, თავისუფალი აზრი ფრთა-შეკვეცილი...

მტარვალი გამარჯვებას დღესასწაულობს, პიროსის გამარჯვებით დაბნედილი ირგვლივ ყოველივეს ანადგურებს...

ჩვეულებრივი ადამიანნი არარად ქმნილან და თითქო ვერც-კი მიმხვდარან—რისთვის ცხოვრობენ?..

ცოცხლები მკვდრებს დამსგავსებიან და მკვდრები იშვებენ, რომ მალე მოშორდენ სინამდვილეს...

აი, რა ფიქრები აღეძვრის ჩვენის დროის მოაზრე ადამიანს...

მაგრამ არის ერთი სამეუფო აზრისა, სხივ-მოსილი, ნათელი სამფლობელო ზე-ცხოვრებისა, სადაც ყოველი ურვა, მწუხარება,

სნება-მოსილი სინამდვილე თითქო ერთის წუთით ჰქრება, საყოველდღეო სურათი თვალთაგან იკარგება და უკვდავი, სანეტარო გრძნობით განიმსჭვალები...

სწორედ ამ გრძნობამ შეგვიპყრო 6 მაისს არტ. თეატრში გედევანოვის იუბილეზე შეკრებილ საზოგადოებას რომ დავხედეთ...

ქართველი და სომეხი, ერთის გრძნობით გამსჭვალული, ერთის აზრით აღფრთოვანებული მუნ შეკრებილიყო...

ყველას სიტყვას, ყოველ მილოცვას, ყოველი კაცის —მოზარდისა და მოხუცის — ტელეგრამასა თუ წერილში მხოლოდ ერთი აზრი იყო წითელი ზოლივით თავიდან ბოლომდე გატარებული — ქართველ-სომეხთა გაერთიანების იდეა...

და ამ იდეას მატარებელთა შორის აღმოჩნ 6 მაისის იუბილიარი გედევანოვი.

ნუ თუ მწარე ბედის დაცინვა არ არის, რომ ჩვენ—ქართველთა და სომეხთ, — მთელის საუკუნოებით ურთიერთის მეზობლად მცხოვრებთ, გაცილებით უკეთ ვიცით ცხრა მთას იქით მცხოვრებელთა ყოფა-ვითარება, ხოლო ერთმანეთის ავ-კარგზე წარმოდგენაც-კი არა გვაქვს?!.

ამას, რასაკვირველია, სხვა ღრმა მიზეზებიც აქვს — პოლიტიკური და ეკონომიური, მაგრამ რაც უნდა მიზეზი გვიღობავდეს გზას ურთი-ერთის დაახლოვებაში, მაინც ყოველივე დაბრკოლება უნდა გადაილახოს და ხელი შევუწყოთ საქმით იმ აზრის განმტკიცებას, რაიცა მხოლოდ ძლიერ მცირე ნაწილის მისწრაფებაა...

თეატრი და მწიგნობრობა, მწიგნობრობა და თეატრი, — აი ის გზანი რომელთა საშუალებითაც ჩვენ აღთქმულ ქვეყანას ჩქარის ნაბიჯით დავუახლოვდებით...

ურთი-ერთის უკეთ გაცნობა, ურთიერთის სულიერი ავლადიდების გათვალისწინება შესაძლებელ-ჰყოფს ცხოვრებას უფრო ფხიზლად შევხედოთ და რავდენადაც უფრო მწვავეა ჩვენი ეკონომიურ-ტერიტორიალური ურთიერთობა, იმდენად მონდომებით უნდა ვესწრაფებოდეთ ჟამთა ავითარებისაგან ორ მეზობელ ერთა შორის გათხრილი უფსკრულის ამოვსებას, სამტროდ აღმართულ კედლების დანგრევასა და ძმობა-ერთობის ხიდის დებას...

ქართველ-სომეხთა საზოგადოებამა და ხალხმა ძვალ-რბილში უნდა გაითქვიფოს, რომ ,,ცხვირი პირს არ მოშორდება'', რომ ისტორიამ გვარგუნა ერთმანეთის განუყრელი მეზობლობა. საერთო სამშობლო და, მაშასადამე, ერთმანერთის გაგებასაც უნდა დავეჩქარნეთ...

ამ მიმართულებას უკვე ძლიერი პიონერები ჰყავს...

ამის მონატრე იყო და არის ყოველი პატრიოსანი ადამიანი, ყოველი შეგნებული ქართველი... ამ იდეის გავრცელებას უნდა შეუდგის—თუ არ შესდგომია—მოზარდი თაობა!..

ქართულისა და სომხური სცენის მელპომენამ ერთ ადგილას უნდა დაიდვას ბინა, ერთი ტაძარი აღირჩიოს მსხვერპლის შესაწირავად... ამას მოჰყვება საზოგადოებრივი თვითშეგნების გაფართოებაც...

აი, რა მხრივ გვაამებს გედევანოვისა და მის მსგავსთა მუშაობა მწიგნობრობასა თუ სცენაზე...

ფარვანა

ნათელს აღგზნებულს,
სხივით ანთებულს,
შეფერადებულს,
ჩემო ფარვანავ, თავზე ევლები...
მაგრამ ვინ იცის,
როდის დაიწვის
გზნება შენის ფრთის—
სანთელთან რომ თრთის...
როდის მოკვდები, ან სად გაჰქრები?

*
* *

მუზავ, შენც სულით,
ფრთა-განწირულით,
ნეტარ ჩურჩულით
ხელოვნებისას ულიმი ტაძარს,
მაგრამ ვინ იცის,
ტანჯვა სად გიცდის,
როდის, ან რისთვის
სამსალა ძიმწრის
ეკლების გვირგვინს მოგიძღვნის საზარს?

გ. ტაბიძე

უკვდავება

მთის თხემიდან ადამიანი დაბლა-დაბლა მოდიოდა. თმა-გაწეწილი იყო, ფეხ-შიშველი, ავადმყოფი; მაინც უხაროდა, რომ მწვერვალის ნისლსა და ბურუსს განშორდა და ამაყად ადგამდა ფეხს; სიამოვნებით უყურებდა განათებულს, ცოცხალს სოფელ-ქვეყანას.

ღმერთი აღმართ-აღმართ მიდიოდა. მხარზე გადაგდებული მოსასხამი მხოლოდ ზოგიერთ ადგილს უმალავდა. მარმარილოსგან გამოქანდაკებულს უგავდა სხეული. თავზე გვირგვინი ედგა.

ბილიკზე ერთმანერთს შეხვდენ ადამიანი და ღმერთი.

— ჭეშმარიტების სალარო ხარ და თაყვანსა გცემ; მშვენიერი ხარ და მიყვარხარ; უძლეველი ხარ და მშურს, მაგრამ მეცოდები თანაც.

— როგორ თუ გეცოდები?!

— დიახ, მეცოდები: შენ ყოველისფერს ჰხედავ და მეცოდები; შენ უკვდავი ხარ და მეცოდები. რაც უნდა მოგაბეზროს თავი საგანმა მაინც შეხედავ, რაც უნდა გეზიზღებოდეს, თვალს ვერ მოაშორებ—მეცოდები! ეს კიდევ არაფერი. უდიდესი ჩემი უბედურება ვერ შეედრება შენს აუტანელს მდგომარეობას: რაც უნდა შეგძულდეს თავი, შეგეზიზღოს თავი, რაც უნდა ისურვო გაჰქრე, მოისპო—არ შეგიძლია: შენ უკვდავი ხარ! მეცოდები უფალო: ჩემს უმწვერვალესს ტანჯვაშიაც კი შენი ბედი მანუგეშებს—შენ ჩემზე უბედური ხარ. ჭეშმარიტად, უფალო, მეცოდები. რომ შეიძლებოდეს, მაინც არ გაგიცვლიდი ბედს.

ღმეროს ეწყინა, ალმაცერად შეხედა ადამიანს და აღმართ-აღმართ წავიდა.

ადამიანი-კი დაეშვა დაღმართ-დაღმართ.

ნ. ლორთქიფანიძე

ახალგაზდა მსახიობთა საყურადღებოდ

(ტ. სალვინის წერილი ჟურნალ „The Centur Madarine" დაბეჭდილი)

თქვენთვის აუცილებლად საჭიროა კლასიკების შესწავლა. ჰომიროსი, დანტე, შექსპირი, მილტონი, ჰიუგო და სხვანი თავის მადლიანის პოეზიით ამაღლებენ გონებას და სმენას აჩვევენ სიტყვიერების მშვენიერებას.

ვისაც ლექსის კითხვა შეუძლია ბუნებრივად და გრძნობიერად, ის პროზასაც გრძნობიერად და სინამდვილით გადმოგვცემს.

რაკი საფუძვლიანად გაეცანით პიესას, რომელშიაც მონაწილეობას იღებთ, —სანამ როლის შესწავლას შეუდგებოდეთ, ბევრჯერ უნდა გადაიკითხოთ იგი თავიდან ბოლომდე ისე, რომ არ გაჩერდეთ არც ერთს სურათზე, არც ერთ სიტყვაზე. მაშინ თქვენ-მიერ გასაპიროვნებელ გმირის მთლიანი სახე თვალწინ დაგიდგებათ და შეუმცდარად შეამჩნევთ მის როლის ეფექტიურ ადგილებს. ნუ დაიზარებთ როლის გადაკითხვას, რაც უნდა მოსაწყენი იყოს იგი. მხოლოდ ამ გზით დასძლევთ თქვენს როლს იმდენად, რომ არც ერთი სიტყვა თქვენის გმირისა არ დაგრჩეთ გაუგებარი და შეუგნებელი, და ისე შეეთვისებით და დაიხსომებთ, თითქოს თქვენ თვითონ შეგიქმნიათ იგი.

ავარჯიშეთ თქვენი ხმა და ყურადღება მიაქციეთ, რომ იგი იყოს წკრიალა, მოქნილი, საამურათ სასმენი. თქვენი როლი ხმამაღლა ისწავლეთ. მაშინ თქვენთვის ძნელი არ იქნება

შეატყოთ შესაფერი გამოთქმა გაქვთ თუ არა. ყურადღება მიაქციეთ თქვენ მიმოხვრასაც. გაუბედავი მოძრაობა არავითარ შთაბეჭდილებას არ ახდენს, ყოველი მოძრაობა განსაზღვრული და მკაფიო უნდა იყოს.

სცენაზე გამოსვლა ბევრს ადვილი ჰგონია. მაგრამ ეს ღრმა შეცდომაა. ყოველ ხელოვნების დარგში დრამატიული ხელოვნება უფრო ახლოა ცხოვრებასთან და თუ მხატვრობა და მოქანდაკეობა ძნელ საქმედ მიგვაჩნია, მაშინ მსახიობის შრომაზე რაღა უნდა ვთქვათ?..

სცენაზე გამოსვლის ნიშანდობლივი უნარი, სახის მეტყველება, ლაპარაკის კილო, ხმის თამაში — ეს ისეთი რამაა, რომლის შესწავლა თითქმის არც კი შეიძლება. თუმცა ამის თაობაზე რამოდენიმე დარიგების მოცემა შემიძლია. მაგალითად, სიარული ყოველთვის გაბედული უნდა იყოს, ხელის მოძრაობა მხრის თავიდან უნდა დაიწყობდეს და არა ნიდაყვიდან. ხელი ნახევრად მოხრილი უნდა გეჭიროთ, თითები არაოდეს არ უნდა გაპარჭყოთ, ხმას ფალცეტამდე არ უნდა აუმაღლოთ.

მაგრამ ყოველივე ეს თეორიული წესები, სავალდებულო კანონთა როდი ჩაითვლება.

უკეთუ მომავალმა მსახიობმა კარგი სკოლა გაიარა და მაინც ვერ მიეჩვია საკუთარ ალღოიანობის გამოჩენას, მაშინ უმჯობესია სცენას გამოეთხოვოს.

საჭიროა აგრედვე, რომ მსახიობის სახე ემსგავსებოდეს გასაპიროვნებელ გმირის სახეს. შეცდომაა, ვითომც სახელის მოსახვეჭად საჭიროა მხოლოდ ჭკუა და ნიჭი.

შეიძლება მსახიობს ჩინებული სკოლაც გაევლოს, საუცხოო ხმაც ჰქონდეს, დიდი ნიჭიერებაც, მაგრამ თუ ამასთანავე მას შესაფერი ფიზიკური ღირსებაც არ მოეპოვება, იგი ვერაოდეს ვერ ასცილდება საშუალო დონეს.

ტ. სალვინი

დასავლეთ-ევროპიულ მოდერნიზმის ძირითადი მოტივები

(ვ. მ. ფრიჩე)

ხელოვნება სიცოცხლის
დავიწყების საშუალებაა.
ჟ. როდენბახი.

I

მეცხრამეტე საუკუნის დამლევს დასავლეთ-ევროპას აღორძინდა ახალი ესთეტიკა, ესთეტიკა —მოდერნიზმისა. ახალმა art poètique-მა რეალისტური ხელოვნება აღიარა ცალმხრივად, ზერელედ და მოინდომა ამ ხელოვნების შევსება, ან სავსებითი ლიკვიდაცია რეალიზმისა და მის ადგილს იდიალიზმისა და იდალისტურ ხელოვნების გამეფება.

„საჭიროა დაცულ იქმნეს დოკუმენტალური სინამდვილე, რეალიზმის მდიდარი ნერვიული ენა. მაგრამ ამასთან საჭიროც არის ადამიანის სულის გადაშლა. უნდა ვიაროთ იმ გზით, რომელიც გაკაფა ზოლამ; მაგრამ ამასთან ერთად საჭიროა პარალელური ჰაეროვანი გზა. **საჭიროა სპირიტუალისტურ ნატურალიზმის** შექმნა“.

ასე სწერდა მედონის ღამეების ოდესღაც მონაწილე გიუსმანსი.

უფრო მტკიცე იყო მოდერნისტულ ახალგაზრდობის პროტესტი ნატურალიზმის წინააღმდეგ.

„ჩვენ გვწადია იდიალური ხელოვნება. მხატვრულ ნაწარმოებში ჩვენ ვეძიებთ კონკრეტულ ფორმით აღბეჭდილს დაუსრულებელს იდეას. ჩვენ გვწადია არისტოკრატიული ხელოვნება, რომელმაც უნდა შესცვალოს ფუსფუსი წვრილმანი მხატვრობისა. მოდელის სიზუსტით აღბეჭდვა, ბუნების სავსებით შესწავლა მხოლოდ საშუალებაა მიზნის მისახწევად. ჩვენ რომანტიკები ვართ. **ყოველივე მატერიალური ჩვენთვის მეორე ხარისხოვანი საგანია**“.

ასე სწერდა ახალ ხელოვნების პროგრამას ლანდსბერგი ნატურალიზმის წინააღმდეგ მიმართულ თავის თხზულებაში: „ძირს ჰაუპტმანი“.

„ჩვენ გვაერთებს სიცოცხლის ახალი გრძნობა, რომელიც გადმოსჩქეფს თვით სიცოცხლის სულ სხვაგვარ დაფასებიდან —სილამაზის, მშვენიერების წყურვილიდან. ახალ ხელოვნების საგანს ხალხი კი არ შეადგენს, არამედ ადამიანი, როგორც გამოაშკარავება სამარადისო, ჩვენთვის მიუწვდენელ ძალისა. იქ, სადაც რეალისტები აღნუსხავენ ჭეშმარიტების ერთ ნაწილს, იქაც ცალმხრივობაა მათი თვისება“

ასეთია ახალ ესთეტიკის დახასიათება მიუნხენის მოდერნისტების-მიერ, რომელთა მანიფესტი დაბეჭდილია ჟურნალში „Blätter für die Kiust-“ში.

იდეალიზმის სახელით რეალიზმის უარყოფასთან ერთად, მოდერნისტები უცხადებდენ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას თანამედროობას, მისგან გამოწვეულ აღშფოთებასა, მის საკითხებს, მის შუღლსა და ბრძოლას. გიუსმანის სიტყვით, რავდენადაც რეალისტური სკოლა აღმერთებდა თანამედროობას, იმდენად სძაგდათ იგი მოდერნისტებს.

„ჩვენ არ ვეტრფით სოციალურ წყობილების გაუმჯობესებას, ვინაიდან ეს პრობლემა არ ეკუთვნის პოეზიის სფეროს — აცხადებდენ მიუნხენელები გეორგი და ჰოფმანსტალი.—არის დრო, ოდეს პოეტიც მოუწოდებს იარაღს საბრძოლველად, მაგრამ პოეტი უნდა აღემატებოდეს ჩვენს საზოგადოებრივ და პარტიულ ბრძოლას. ყოველივე ეს მან უნდა უარყოს, ვინაიდან იგი აღმაფრენის ციური ცეცხლის მფარველია“.

აშკარაა, მოდერნისტულ ესთეტიკის ძირითადი მოტივი—**სიცოცხლისაგან უკუქცევაა**. თავის მხრივ, მოდერნისტულმა პოეზიამ არა ერთი და ორი ხელოვნურ ხატებით აღბეჭდა ეს პრინციპი.

II

ცხოვრებასთან ჩამოშორება, სურვილი ხალხისა და ქვეყნისაგან გამოყოფისა—ასეთია მოდერნისტულ პოეზიის მძლავრი მოტივი. მოდერნიზმის გმირნი მარტოხელნი არიან. ვილიე ლე-ლილ-ადანის ფანტასტიურ მოთხრობებში მთელი წყებაა განდეგილებისა (პორტლანდელი ჰერცოგი, გრაფი დეატოლი და სხვანი). ყველა ესენი ინსტიქტიურად ელტვიან ადამიანის საშიშ მოახლოებას. თავის დროისა და სამშობლო კუთხის პოლიტიკურ საკითხებს გულგრილად შესცქერიან. მათი განმარტოებულ ხეტიალის თანამგზავრი ოცნებაა. ისინი ხილვას იტკბობენ ბუნების თვალწარმტაცის სურათებით. ისინი სტკბებიან, ოდესაც დიდებულ შემოდგომის საღამო ღვივის გარემო ტყის მწვერვალზე. ასეთივე განდეგილნი არიან გიუსმანის გმირები: ჰერცოგი დეზესენტი, თავის კოშკში განმარტოებული, მოხუცი კარე, სამრეკლოზე მარტოდ მცხოვრები, და მწერალი დიურტალი, რომელიც მონასტერს აფარებს თავს. განდეგილნი არიან როდენბახის გმირნიც: ჰიუგი ვიანი, ბორლიუტი.

თანამედროვე საზოგადოებაში მარტოდ და უცხოდ გრძნობენ თავს სტრინდბერგის გმირებიც: უვიც მეთევზეთა სოფელს გატყორცნილი ინჟინერი ბორკი ბოშებთან მცხოვრები მაგისტრი ტერნერი. ყველა ამათ ვერ გაუბედიათ სინამდვილესთან ოდნავ მაინც შეხება, მისცემიან თავის შინაგან განცდათ და, საკუთარ სულის ჩაღრში გახვეულნი, განიცდიან მყუდროებას, მშვიდს სიხარულსა და უხიფათობის გრძნობას.

სამარტოე მუდმივი თანამგზავრია შნიცლერის გმირებისაც. ისინი მხოლოდ მაშინ გძნობენ თავს კარგად, როდესაც მარტონი მიდიან თავის გზით. როგორც ფონ-სალა, ისინი მაშინაც მარტოხელნი არიან, როდესაც გარს ახვევიათ ცოლი, შვილები, შვილიშვილები, როდესაც მათ უკან მისდევს ბაკხანთა მთელი პროცესია. ცხოვრებისგან განშორების სურვილი—ჩვეულობრივი თემაა ჰოფმანსტალის პოეზიისაც.

თანამედროვე სინამდვილეს ჩამოშორებული მოდენისტული გმირები შორიდან შესცქერიან ცხოვრებას, როგორც პასიური მოწმენი. მათ არ სწადიათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ სიცოცხლის სიხარულსა და ვაებაში, მღელვარებასა და ბრძოლაში. ამიტომ მოდერნიზმის გმირებისათვის განსაკუთრებულ ღირებულებას იძენს მოგზაურობა. მგზავრის თვალწინ სიცოცხლე მიჰქრის, როგორც სურათების ახლო და მასთან შორი კალეიდოსკოპი; მგზავრის თვალწინ სიცოცხლე იშლება აჭრელებულ მოჩვენებად.

„მე ვერ ავიწერთ, რა ნეტარ გრძნობას

განვიცდი, როდესაც ვმოგზაურობ—ამბობს შნიცლერის გმირი, მწერალი ჰენრიხი.—განგიცდიათ, როდისმე მდგომარეობა, როდესაც მოგონებანი, შორეულნი და ახლონი, ჰკარგავენ თავის სიმძიმეს, როდესაც ის ხალხი, რომელთანაც წინათ დარდით, ვარამით, სიხარულით, სინანზით ყოფილხართ დაკავშირებული, გეჩვენებათ აჩრდილად, ანუ, უკეთ რომ ვსთქვა, თქვენ-მიერ შექმნილ ხატებად? მიჰქრი უცნობ ქალაქებისკენ, რომელნიც არც კი გინახავს და იქნებ არც ნახო. გზაში გეფეთებიან უცნობნი და კვლავ ინთქებიან უკუნეთა დროთა სივრცეში"... ასეთ მოგზაურობად გაუხდიათ სიცოცხლე ჰოფმანსტალის პიესის („ავანტიურისტი და მომღერალი-ქალი") მოქმედ პირებსაც.

მოდერნისტულ პოეზიაში ივვიათი შემთხვევა, როდესაც სიცოცხლეში აქტიურ მონაწილეობის უარყოფა ტრაგიულ ელფერს იღებს, როდესაც აშკარავდება ადამიანის უძლურება უსაშუალოდ დასტკბეს სიცოცხლის სილამაზითა და ბედნიერებით.

ვილიე დე-ლილ-ადანის მოთხრობაში („პორტლიანდელი ჰერცოგი") უკანსკნელი კეთროვანი თავს აფარებს უდაბურს, დაღვრემილ ბაღში ოდესღაც გაშენებულ კოშკს. აქ იწვევს კეთროვანი სტუმრათ ინგლისელ არტისტოკრატიის რჩეულ საზოგადოებას. ძველებურ სასახლის თაღებ ქვეშ იმართება მაშინ ბრწყინვალე, დიდებული ნიდიმი,. იწყება „თავადური თავისუფალი ღამე", ისმის სიცილი მომხიბლავ მსახიობ-ქალთა და უდარდელ კეკულცთა... მაგრამ თვით კეთროვანი ჰერცოგი ამ დროს განმარტოებულია ზღვის პირას; საშინელ ავადმყოფობით დამახინჯებული იგი დგას, როგორც ქვის მოჩვენება...

III

სინამდვილესთან შეხვედრის შიშია მიზეზი, რომ მოდერნისტებს უბრალო თამაშად გაუხდიათ სიცოცხლე, თეატრად—მსოფლიო, აქტიორად—ადამიანი. შნიცლერის გმირი ჯადოქარი პოეტი პარაცელსი მოკლეთ, რამოდენიმე სიტყვით გამოსთქვამს მოდერნიზმის მსოფლიო მხედველობის თავისებურ თვისებას:

„მოელი სიცოცხლე თამაშია: ის არის ბრძენი, ვინც ეს შეიგნო".

უწინარეს ყოვლისა, მოდერნისტისათვის თვით სიყვარულის გრძნობაც თამაშია. წინდა ვნების მაგიერ იგი ამეფებს განცხრომასა და ფლირტს (Liebe—Liebelel), კომედიათა ხდის ქორწინებას. შნიცლერის „ინტერმეცოში" ცოლ-ქმარი ერთმანეთს შორდება. მხოლოდ როდესაც ერთხმად გადასწყვეტენ აღარ იყვენ მეუღლენი, არამედ ითამაშონ მეუღლეების როლი, მაშინ ხელ-ახლად იგრძნობენ ურთიერთისადმი სიყვარულს. უაილდის რომანის „დორიან გრეის სახე"-ს გმირის ლორდ ჰანრის სიტყვით, ქორწინება იმიტომაა მშვენიერი, რომ იგი ფიქციაა; ქმარი და ცოლი მეუღლენი არიან მხოლოდ საზოგადოების წინაშე. ქმარმა არასოდეს არ იცის, სად არის ცოლი; ცოლმა არ იცის, რას აკეთებს ქმარი, ხოლო ერთიც და მეორეც ყოველსავე საშუალებას ხმარობს არ გადასცდეს თავის როლსა.

მოდერნისტისათვის პოლიტიკაც თამაშია, თუ წინედ პარლამენტის მოღვაწეს გულით სწამდა, რასაც ის ტრიბუნიდან იცავდა, ახლა შნიცლერის რომანის („გზა თავისუფლებისაკენ") გმირის ექიმ ბარტოლდის სიტყვით, პოლიტიკოსისათვის მთელი საზოგადოებრივი ცხოვრება შესაქცევი თამაშია, რომელიც არ იწვევს არც აღფრთოვანებას, არც აღშფოთებას.

რევოლიუციაც თამაში გამხდარა მოდერნისტისათვის. შნიცლერისაებრ, მოდერნისტი არ ასწერს პარიზელ მესამე წოდების აჯანყებას, არამედ მის ოტებას კომედიაში, რომელსაც „მწვანე თუთიყუშის" სამიკიტნოში მასხარები ადგენენ.

თუ მოდერნისტისათვის სიცოცხლე თამაშია,—ადამიანი აქტიორია, მეტი არაფერი. ჰოფმანსტალის პიესის ერთი გმირი, გრაფი კლავდიო ამბობს: ,,უბადრუკმა და გამოუსადეგარმა გადავლახე სცენა სიცოცხლისა''...

სიკვდილის მოახლოებისასაც განაგრძობს ადამიანი კომედიას. შნიცლერის პიესა ,,ბეატრიჩეს პირბადე'' შემდეგს მოგვითხრობს: მტრის ჯარი ქალაქს ალყას არტყამს და უქადის სრულს განადგურებას. ჰერცოგი საყეენოდ იწვევს ქვეშევრდომებს, ქალწულთაგან ირჩევს საცოლეს ერთი საათით და სიკვდილთ ან პირისპირ მართავს შესაქცევს თამაშს.

ხან და ხან მოდერნისტების მოტივი—მთელი სიცოცხლე თამაშიაო—ტრაგიულ დისონანსის სახეს იღებს. შნიცლერის რომანში (,,გზა თავისუფლებისაკენ'') ახალგაზდა მსახიობი ქალი, მწერალი ნიურნბერგერის და, სიკვდილის წინ დარწმუნდება, რომ აქამდის მისი სიცოცხლე დახატულ-დათხუპნილ ცის ქვეშა და კარტონის კედლების შუა წანწალი იყო, რომ აქამდის მისი არსებობა მარტოოდენ თვითმოტყუება იყო. ყოველივე მისი ნამდვილი განცდა—ყოველდღიური თავგადასავალი დაქირავებულ სახლში და სასტუმროში, უცხო ქალაქის ქუჩებში—აგონდებოდა არა როგორც ნამდვილად განცდილი, არამედ როგორც რომელიმე სცენა, მისი მონაწილეობით შესრულებული. და რამდენადაც იგი უახლოვდებოდა სამარეს, იმდენად მძლავრად დარდობდა, ნაღვლობდა უყურადღებოდ დატოვებულ სიცოცხლეზე.

თუმცა ჩვეულებრივია, რომ აქტიორი, თუ სურს, კვლავ ადამიანად იქცეს, იცოცხლოს არა მოჩვენებითა, არამედ რეალური სიცოცხლით, იძულებულია სევდით აღნიშნოს, რომ ნამდვილი ვნების განცდისათვის მას ძალა აღარ შესწევს. ამგვარია ვილიე დე-ლილ-ადანის მოთხრობის „ადამიანად ქცევის სურვილის" დედააზრი. აქტიორი ჰინსონი მთელ თავის სიცოცხლეს აღდგენს სხვის ვნებათ, თუმცა თვით არასოდეს არ განიცდის მათ. ჰინსონი აჩრდილია. და აი, მას სურს ხელახლად ადამიანად იქცეს. იგი შენობას ცეცხლს უკიდებს; ამით უნდა გამოიწვიოს სინდისის ქენჯნა, რეალური და არა მოჩვენებითი. მაგრამ ამაოდ! პინსონი არ განიცდიდა სინდისის ქენჯნას, სინდისი არავითარ საყვედურს არ უცხადებდა მას. პინსონი ინიშნება კანდელის მოდარაჯედ. სასოწარკვეთილი, იგი ურევს სიგნალებს, სწადია რომელიმე გემის დაღუპვა და მით სინდისის მხილების გამოწვევა. ამაოა: სინდისის მხილება არსაით სჩანდა...

მაგრამ თუ აქტიორმა მოახერხა და ხელახლად იქცა ადამიანად, იგი იძულებულია დარწმუნდეს, რომ მისი მოჩვენებითი ვნება ნამდვილ გრძნობაზე მეტად ფასობს. ასეთია უაღლიდის რომანის .,დორიან გრეის სახე''-ს გმირის— მსახიობ-ქალის სიბილა ვენის ტრაგედია. ვინემ იგი არ შეიყვარებდა დორიანს, შექსპარის ქმირ-ქალთა მშვენიერი აღმბეჭვდელი იყო. ხოლო როდესაც სიბილამ სცნო ნამდვილი ვნება, მან თვისდა შეუჩნევლად დაჰკარგა არტისტიული ალღო.

,,სანამ თქვენ გაგიცნობდით—ეუბნება სიბილა დორიანს—ჩემ სიცოცხლეში ერთად ერთი სინამდვილე სცენაზე თამაში იყო. მე მხოლოდ თეატრში ვცოცხლობდი. დათხუპნილი კულისები იყო ჩემი მსოფლიო, მე აჩრდილის მეტი არა ვიცოდი რა. თქვენ მასწავლეთ რა არი ჭეშმარიტი სინამდვილე. წამიყვანეთ აქედან. მე შემეძლო აღმბეჭდა ის ვნება, რომელსაც მე არ განვიცდიდი, ხოლო მე არ ძალმიძს იმ ვნების გამოაშკარავება, რომელიც ცეცხლივითა მწვამს''.

მაგრამ დორიან გრეის გულისხმად ჰყოფს აქტიორი და არა ადამიანი. მისი უარი- სიბილას თ ავის მოკვლის მიზეზია.

,,ეგ ქალი—ანუგეშებს დორიანს ლორდ ჰანრი—არასოდეს არ სცოცხლობდა სინამდვილეში. ამიტომ იგი არ მომკვდარა სინამდვილეში თუ გნებავთ იწუხეთ ოფელიაზე; ნაცარი დაიყარეთ თავზე, ვინაიდან გასრესილა კორდელია; ღაღად-ყავით ცათა მიმართ, რადგან მოკვდა ბრაბანციოს ასული. მხოლოდ ნუ დააფრქვევთ თქვენს ცრემლს სიბილა ვენს. იგი ნაკლები რეალობაა, ვინემ ისინი''.

(შემდეგი იქნება)

პეტრე დადვაძე

მდინარეე

მიყვარს, მდინარეე, როს შენს ნაპირას
ვზივარ ფიქრებით გარემოცული,
მე გულში ჩაგცქერ და შენ-კი, ცელქო,
ჩქრიალით მიჰქრი გამალებული!

* *
*

წამები წუთს ქმნის, წუთები—საათს,
შენ-კი, მდინარეე, ცხოვრებისა ზღვას...
მაშ გასწი მედგრად, მეც თან გაგყვები,
ვერვინ დაუდებს შენ წინსვლას საზღვარს.

მიმქრალი

ნ. გაბუნია-ცაგარლისა (ქიჩქინე-ს როლში)

ერთხელ მაინც...

საღამო ხანს სახლიდან გამოვიდა ძვირფას, აპრელებულ ტანისამოსით მოკაზმული ხან-შესული ქალი.

ზედ დაიხედა, კაბის კალთა აიკრიფა და ქალურის გრეხით, ძალდატანებულ ღიმილით დიდი ქუჩისკენ გაეშურა!..

გზაზე გამვლელ მამაკაცებს თვალებში შეჰყურებდა, და როცა იგინი დააცქერდებოდენ, ქალი ფეხებს ააბაკუნებდა, კეკლუცობდა: ხან შედგებოდა, ხან გზას აუქცევდა!..

მაგრამ მთელმა მისმა ქალურმა პრანჭვა-გრეხამ ვერა უშველა-რა და მამაკაცი ვერ გაიტყუა!..

ბევრი სიარულით დაღლილ-დაქანცული, მარცხით დაღონებული სახლში დაბრუნდა!,,

მოიხადა შლიაპა, გაიძრო წამოსასხამი, დაეცა ტახტზე, დაიწყო ტირილი!..

სტიროდა ქალი, აფრქვევდა მდუღარებას სწყევლიდა თავის ბედსა და ცხოვრებას კრულვა-შეჩვენებას უთვლიდა!..

ცხოვრების მორევში ჩაყურყუმალებულმა დაჰკარგა ნამდვილი სახე ქალისა და უსულო, უგულო ტიკინად გადიქცა!..

ტიროდა და მის ტირილში იგრძნობდით: თავის თავის დამცირებას, სინანულს, სურვილს სიკვდილ-სიცოცხლისას, უზომო ზიზღს ცხოვრებისა და თვით ადამიანისადმი, სინდისის ქენჯნას.....

სტიროდა... და მის ტირილში თითქოს ხვეწნა-ვედრება გამოისმოდა: „მიშველეთ, ძალნო, ციურნო!..

„დევ-გმირო, მამაკაცო, შემოიკრიბე სიწმინდე, პატიოსნება, სინდისი, სიყვარული და მიხსენი“!..

სტიროდა დიდხანს და, როს ტირილით მოიოხა გული, მშიერ-წყურვალე მიეყრდნო გაციებულ კედელსა და... მიეძინა.

ნახა სიზმარი: ნაზი, სპეტაკი, მოსიყვარულე, ბედნიერების ღიმილით გაბრწყინვებული, ყველასაგან პატივცემული ქალი-დედა...

სიზმრით დამტკბარს ტუჩებზე ღიმილი უკრთოდა!..

საბრალო!..

ერთხელ მაინც იგრძნო, რა არის ბედნიერება?..

და ისიც სიზმარში....

გიორგი ფოცხოველი.

*
* *

(ა. შანშიაშვილს)

სვე სანეტარო, შვება, განცხრომა,
დაჰგმე, შერისხე, დასწყევ-დაჰკრულე;
და სევდა-ურვით მოთქმა-გოდება
სატრფოდ იცანი... დაემიჯნურე!!.
უდაბურს, ხრიოკს, მებძოლთ აკლდამას,
ცრემლებს აპკურებ გულამოსკვნილი:
და უმანკო სისხლს, მტრისგან დანთხეულს,
იგლოვ საურვო ძაძა-მოსილი...
წმიდა ტრფიალის დაწყვეტილს ძაფებს
აბამ... ანასკვავ მწარეს და ტკბილსა,
ნეტარებისკენ უხმობ ბედის გერს—
გუბეში ჩამკვდარს ადამის შვილსა!!.

კიკნა-ფშაველა

მტარვალის ბედი

(ხონთქარ მბრძანებლობის უკანასკნელი დღე)

ა. ნერადოვის რომანიდ.

თანამედროვე დრამა ერთ მოქმედებად

მოქმედნი:

აბდულ-ჰამედი, ხონთქარი

ნადირ-ალა, საჭურისი

სერბიანი, | ჯაშუშები
ჰასანი, |

მოლა,

ჯარის კაცნი,

შეიხ-ულ-ისლამი, მღვდელ-მთავარი

იუსუფ-ეფენდი, | კომიტეტის წევრნი
სულ-იმბეი, |

ილმ ოლლი, ლეიტენანტი

მელჰამ, ამის სატრფო

დოულეტი, ლეიტენანტი

სცენა: ხონთქარის სასახლეში, აბდულ-ჰამედის კაბინეტი ერთი საჩინო სავალ კარებით, ხოლო სამი საიდუმლო-უჩინარ კარებით, რომელთა შორის ერთი საიდუმლო სათათბიროს ოთახისაა, მეორე საპყრობილე ოთახისა, ხოლო მესამე უკანა გასავალისა.

I

ხონთქარი და ნადირ-ალა

ხონთქარი ღრმად ჩაფიქრებულია. ცოტა ხნის შემდეგ შემოდის ნადირ-ალა—

ნად. (სალამისათანავე) დიდება თქვენდა, თვითმპყრობელო!

ხონ. (მრისხანედ გადახედავს, შემდეგ მწარის ღიმილით თავისთვის) „თვითმბრძანებელო!“... (ნადირ-ალას) რა ამბავია?..

ნად. თქვენდა დიდება... მტრებს დამარცხება...

ხონ. (სიხარულით წამოხტება) ხალხი აჯანყდა?! მათ მიესია?!...

ნად. ემზადება... რაზმიც მზად არის... მარჯვე დროს ელის...

ხონ. (განრისხებული, ხოლო თავისთვის) „მარჯვე დროს ელიან!‘‘...

ნად. მათმა მეთაურმა, ერთგულმა ჰასანმა მსწრაფლ აღასრულა შენი ბრძანება...

ხონ. (მოუთმენელი სიხარულით გააწყვეტინებს) მოჰკლა ჩემი ძმა?! ჩემი მეტოქე მუხამედი?...

ნად. ცოცხალია... ხოლო ილიმი აქ მოიყვანა შეკრული.

ხონ. (წამს წარბს შეიკრავს. გახარებული) დიდარს ალახი!.. (ეჭვით) მერე თვით ილიმია?.. თუ მისი აჩრდილია?..

ნად. როგორც მე აქა...

ხონ. მომგვარეთ აქა... ილიმ-ოლლი!.. თვითონ ილიმი!..

II

იგივე **და ილიმ-ოლლი**

ილიმ. (ნადირ-ალა შემოიყვანს ყელზე მოდებულ თოკით უკან ხელებ შეკრულს. ხონთქრის წინ გამოიჭიმება. ამაყად) უბძანეთ შემხსნან...

ხონ. (თვალს გაუშტერებს) ილიმ, ილიმი!.. სწორედ ის არის!,.

ილ. (ამაყად) დიაღ გახლავარ...

ხონ. (კარგა ხნის დაშტერების შემდეგ ნადირ ალას) მაშ, მაშ ის თავი!...

ნად. მეც, მბრძანებელო, ვნახე ის თავი ჲუსუფ-ფაშასგან გამოგზავნილი. ჰგავდა კიდეცა.

ხონ. (განრისხებული) ჲუსუფ-ფაშასაგან? აქ დაიბარე მწრაფის დეპეშით... (დამცინავის ღიმილით) დავასაჩუქრებ... გესმის! დეპეშით... (ილიმ ოღლის მრისხანედ) შენ?!... (თავდაჭერილ სიმკაცრით) ვინაობა!..

ილ. ლეიტენანტი ილიმ ოლლი...

ნად. გემის ,,ოსმანი‘‘-ს. სასახლის პირას, თქვენ პირ-და-პირა, ზღვაში რომა სდგას...

ხონ. (ირონიულის ღიმილით) ხონთქრის პირდაპირ, ვითა დარაჯი...

ილ. (თამამად) დიახ, ხელმწიფევ! თვალ-ყურს ვადევნებთ მხოლოდ შენსა მტრებს...

ხონ. ჩემს მტრებს!... (ნადირ-ალას) მაშ შეუხსენ!.. (ნადირ-ალა დაუჯერებელი შეჰყურებს) შეუხსენ!... (ნადირ-ალა შეუხსნის ხელებს, რის გამოც ილიმი დამშვიდება) შენ ხომ წევრი ხარ კომიტეტისა?!...

ნად. კონსტიიტუციის, ჩვენ მთავარ გამგეთა.

ნად. (ქველური დასმენით) დღეიდან მათი მდივანიც გახლავთ...

ხონ. (ფარულ ბრაზმორეული) ჩვენ ახალგაზდა კომიტეტის!?.

ხონ. (ილიმიუ კმაყოფილოდ გადახედავს ნადირალას სად მიიღევი განათლება...

ილ. საფრანგეთში.

ხონ. სადაური ხარ?!.

ილ. შთამომავლობით აჭარელი...

ნად. ქართველი არი...

ილ. (უკმაყოფილოდ გადახედავს, შემდეგ ამაყად) შთამომავლობით დიახ ქართველი, ხოლო დღეს კია ოსმალთ მხედარი...

ნად. მაგისმა მამამ ახალციხეში თავი იჩინა რუსთ ერთგულებით...

ილ. (შეხედავს ნადირ-აღას) დიახ, მოსტყუვდა, ჩემო ხელმწიფევ! ხოლო შეცდომა მით გაასწორა, რომ მე ოსმალთ ერთგულ მოქალაქედ აღმზარდა...

ხონ. რომელიც თავის ხონთქარს-მბრძანებელს მოსაკლავადაც აღარ ინდობდა...

ილ. (თამამად) მე ხელმწიფევო...

ხონ. (ქველობით) გსუროდა კომიტეტის ბრძანება ასრულებულიყო?..

ნად. (მაღლა ხელებ-აპყრობით) დიდ არს ალახი!.. (მოწიწებით გადახედავს ხონთქარს, ხოლო რა შეატყობს უკმაყოფილო გამომეტყველებას, გადაასხვაფერებს) კურთხეულია მისგან სულთანი.

ხონ. (მიუახლოვდება) აბა?! ხომ დარწმუნდი, რომ სტყუვდებოდი?... იქ, რომ ნამდვილად მე დაგხვედროდი კონსტიტუციას ვინლა მოგცემდათ?...

ნად. (რა მიუხვდება ხონთქარს პირ-მოთნეობას, მიბაძავს) განა მბრძანებელს თვით არ სწყუროდა თავის ქვეშევრდომთა თავისუფლება?..

ილ. (გულ უბრყვილოდ) ვმადლობ ალახსა!..

ხონ. (ქვეღურად) ჰო და ხომ ხედავ: ყველგან სიბრთხილეა საჭირო. აჩქარებული არა ვარგარა... რაც კონსტიტუცია გამოცხადდა მე თითონა ვარ თავისუფალი... მაგრამ, ხომ ხედავ, ნაადრევია... ხალხი ჯერაც ვერ შერიგებია... ბევრი ჩემი უმადურია...

ილ. (თამამად და გულ-ახდილად) არა, ხელმწიფევ! ხალხი შენი მადლიერია. ხოლო უმადურია ჩვენი სამშობლოს უვიცი მტერი! (გადახედავს ზიზღით ნადირ აღას) შენ გარს გეხვია აქ შენი მტრები. დღესაც ისინი მტრობენ სამშობლოს... (ხონთქარს მოუთმენლობა ეტყობა) ჩვენ ახალგაზდა კომიტეტის მოქმედებამ...

ხონ. (მრისხანედ გააწყვეტინებს მაგიდაზე ხელის ძლიერად დაკვრით) კმარა!.. (ილიმი შედრკება. ნადირ-აღა შეკრთება. ხონთქარი თანდათან დლდება, სახეზე შურის ძიების მრისხანება ეტყობა. პატარა ხნის შემდეგ) შენ უნდა წამებულიყავ როგორ გაიპარე? ვინ გაგაქცია?..

ნად. (მიუახლოვდება ილიმს და შურის-ძიებით მოაგონებს) საწამებლიდან...

ილ. (გამოირკვევა. ამაყად) თვით ჩემმა ბედმა...

ნად. (ქვეღურად) ქალმა?..

ხონ. (ბრაზმორეული) მელჰამმა?!.. როდის გაიცან?! ან სად გაიცან?!..

ილ. იქ, საიდანაც წამოიყვანეს ჭარამხანაში თქვენთვის საცოლედ.

ხონ. ხშირად ხედავდით ერთმანეთსა?...

ილ. მხოლოდ იმ ღამეს...

ნად. რა ღამესაც, ვით ავაზაკი, აქ მოსაკლავად შემოიპარა.

ხონ. (მრისხანედ გადახედავს ნადირ-აღას, შემდეგ ილიმს) მელჰამმა გაჩვენა აქ საიდუმლო შემოსასვლელი?...

ნად. (რა არ იღებს ილიმი ხმასა) მბრძანებელის საწოლში, სადაც დაგიხვდა მგზავსი ტიკინი...

ხონ. (მრისხანება ემატება, რაკი ილიმი ხმას არ იღებს) სთქვი!!.. მელჰამ სად არის! სადა გყავს ახლა?!...

ნად. (ხონთქარს) შენის ბრძანებით ზღვაში ჩავაგდეთ...

ილ. მაგრამ განგებამ გადაარჩინა...

ხონ. (მრისხანედ ნადირ-აღას) უ, თქვე ძაღლებო!.. (ილიმს) მერე სადა გყავს?!..

ილ. თქვენი ჯაშუში მას ვერ მიაგნებს...

ხონ. (მივარდება, ხოლო შესდგება) უჰ!... გამაშორე! საწამებელში! თვალი ადევნეთ! (გაიყვანს ნადირ-აღა და დაბრუნდება) ჩორას ბრძანება: ——ყოველი ხერხი საწამებლად მზად ჰქონდეს ახლავ. მე დავესწრობი წამებას... ისე ვაწამო, რომ მაგის ცოდვით თვითონ ჯალათი იცრემლებოდეს... მომატყუილეს?! მე, სხვისი თავი გამომიგზავნეს!.. ძაღლები!.. ნადირ!

ნად. რას მიბრძანებ?

ხონ. (შეუბღვერს) გაუგზავნევი დეპეშა უსუფს?

ნად. უსუფს აღარა, რადგან თვით სერბიანი აქ არის, რომლისგან, ვგონებ, უნდა იყოს მოხერხებული. ელის წყალობას...

ხონ. ჯილდოსა ჩემგან?.. შემოიყვანე...

III

იგინივე **და სერბიანი**

სერბ. (იატაკზე გაერთხობა სალამის ნიშნად)

დღეგძელობა ქვეყნის მბრძანებელს...

ხონ. (დაცინვით) ახალთაობის კომიტეტი ხომ არა გდევნის, ჩემო ჯაშუშო?.. კონსტიტუციამ ხომ არ გაგდევნა ჯაშუშობისათვის?..

სერ. ღვთის მოწყალება... თქვენი წყალობა.

ხონ. გმადლობთ ილიმის ნამდვილ თავისათვის... (სერიანი თავს ადგა აიდების სიამაყით) შენ მოახერხე ილიმის მოკვლა, (ტდუნებით) თუ უსუფ ფაშაც დაგეხმარა?...

სერ. ის, მბრძანებელო, რას მოიცლიდა... მე მბრძანებელო! უსუფ ფაშამ-კი გამოგიგზავნათ...

ხონ. მაშ შენ მაგისათვის ღირსი ხარ...

სერ. (უფრო თამამად) თქვენი წყალობა...

ხონ. (მრისხანედ) დასჯის!.. (ტვლიდებით) ვის მოსპერ თავი?...

სერ. (ელდა ნატეხი კერესხობა იატაკზე) მბრძანებელო...

ხონ. ვისი თავია!

სერ. (ლუდლუდით) რა გამოგზავნა უსუფ-ფაშამ, მე არ მინახავს...

ხონ. (წაჰკრავს კბილებში ფეხს) უჰ! ძაღლო! ჯილდო! ჯილდოსთვის მყიდით... ნადირ! წაიყვა. ჩორამ აწამოს. გამოათქმევინოს ვისი თავი შემომატყუა... (ბრაზმოსული ბოდიოსა სტემს) ყველა მატყუებს...

ნად. (კაიეკანს სერბიანს და თვითონ დაბრუნდება) შეიხ-ულ-ისლამ აქ შენ მოგელის.

ხონ. (შესდგება) კარგი მოვიდეს. (გაბრუნდება ნადირ-ადა) მსურს მისი აზრი. მხარს თუ დამიჭერს სამღვდელოების მამამთავარი...

IV

ხონთქარი და შეიხ-ულ-ისლამი

ბეიხ-ულ-ის. (შემოსვლისთანვე) კურთხევა შენდა წმიდა მაჰმადისა.

ხონ. (ააცქერდება. შემდეგ) რას იტყვი ახალს მსურს მომისმინო... ერთი მითხარ: როგორ ითვისებს სამღვდელოება ჩემს ახალს წესწყობილებას?.. (გაოცდით) ვით შეეთვისა კონსტიტუციას...

შეიხ. (გაუკვირვებით) ვით გვიღალ ადებს ჩვენი ყურანი.

ხონ. ჩვენი ყურანი რას გვიღალადებს...

შეიხ. იგი მომხრეა კონსტიტუციის. ყურანი აძლევს: თავის სუფლებას აზრთ გამოთქმაში..

ხონ. (მოუთმენლად გაკაწვეტინებს) მაგრამ სულთანი ხომ თვით მაჰმადის მოადგილეა, მისი წინასწარმეტყველი...

შეიხ. ჭეშმარიტად! და მაგიტომაც ვალდებულია ხალიფთ მემკვიდრე ზრუნავდეს და იცავდეს მაჰმადიანის სამთავროს ყოველს მცხოვრებს. მოვალეა მათ მაინიჭოს მყუდრო ცხოვრება; მდიდარს თუ გლახაკს თანასწორი თავისუფლება ჰქონდეს, არავინ იყვეს მათში ჩაგრული.

ხონ. (ფარულ უსიამოვნებით) მერე მზად-კია ჩემი ხალხი, რომ გონიერად მოიხმაროს თავისუფლება?...

შეიხ. (მტკიცედ) განა არის-კი სადმე სამთავრო, რომ ასე უცებ წესწყობილების შეცვლათა შემდეგ სისხლ დაუღვრელად გადარჩენილიყოს?! ასე სისწრაფით დამკვიდრებული კონსტიტუცია შეთვისებინოს? დიაღ, ხელმწიფეო ხალხი მზად იყო: იგი ელოდა კონსიტუციას, თავის საშობლოს ზანახდებას...

ხონ. (წამოვარდება მრისხანედ. ხოდო წამს თავს შეიმაგრებს ტუჩის მოკვნეწით) განახლებასა! კონსტიტუციას!.. (შეჭეკვირებს) ნადირ!.. (რა შემოვა ნადირ ადა, ქვეყურად შეიხულ ისლამის მიმართ) იასელ... (გადის ბეიხულ ისლამი. გაჭეკება ნადირადა. თან გაადევნებს ხონთქარი თვალს და წამოიძახებს) ოოჰ! რა სიამოვნებით დაგიმეტავდი მაგ ნეტარების გრძნობის სახეს ძველი უფლება რომ მქონდეს... მას დავიგრუნებ!,.

ნად. (დაბრუნებისამებრ) მბრძანებელო! სამი წევრია კომიტეტისა, შენი ნახვა სურთ აქ მოგელიან.

ხონ. (შეჭეკვირებს) დე, მელოდენ!.. (შეიფიქრიანდება) მაგრამ, ამ ჟამად მბრძანებელს... მოთმენა მართებს (მწარე ღიმილით) დღეს კომიტეტი მმართველი არი,..ახ ალგაზრდათ წილად ხვდათ ძლევა... მაგრამ როდემდის!.. მობრძანდენ... მაგრამ არა, მხოლოდ ერთი მათგანი... მხოლოდ ცოტახნით... გესმის ცოტახნით უქეიფოთა ვარ...

ნად. დიაღ, გავიგე... (გავა. ბატარა ხანის შემდეგ კარედან) მობრძანდით.

ს. გლახაშვილი.

(დასასრული იქნება)

შავო ფიქრებო...

შავო ფიქრებო, მწვავებო,
ნუ განშორდებით ჩემს გულსა,
ნუ მიატოვებთ ერთ წუთსაც
თქვენს მოტრფიალე ერთგულსა.

—

დიდი ხანია მას შემდეგ,
რაც შეგეჩვიეთ ბედკრული,—
ჩემი გონების მფლობელად
ჩემთან ხართ დამკვიდრებული.

—

და ნუ გგონიათ უთქვენოდ
მივეცემოდე ლხენასა,—
ბედისგან მივიწყებული
თქვენგან მოველი შვებასა.

—

თქვენ გამიტაცებთ ოცნებით
შორს, მიუწდომელ ადგილსა,
თქვენ დამიყენებთ თვალის წინ
ჩემის სატრფოის აჩრდილსა

—

ის შემომცქერის თვალებში,
ალერსით, სიბრალულითა,
მარწმუნებს, კვლავად ვახსოვარ
და თანამიგრძნობს გულითა...

იმერელი ქალი

დრამატიულ მოღვაწ. ასპარეზზე

(გაგრძელება. იხ. „თეატრი და ცხოვრება“ № 15)

ოქროპირი ბატონიშვილი, ცნობილი პირი და მხურვალე მოღვაწე **„ფარული საზოგადოებისა“**. **„ვეფხის ტყაოსანი“** გადააკეთა სასცენო ნაწარმოებად—ტრაგედიად, და 1853 წ. მოსკოვში დასტამბა ცალკე წიგნად. სხვა პიესებიც ჰქონია. შეიძლება რუსეთში სადმე საჯარო სამკითხველოებში იყოს დაცული.

სოფრომ მესხიევი, მღვდელი, წევრი 1832 წ. **„ფარული საზოგადოების“**. რის გამო პატიმრადაც იყო „კაზარმობას“. მერე განთავისუფლებული 1850 წ. დაინიშნა ქართ. ენის ცენზორად. იყო მწიგნობარი, მცოდნე თავის დროის კვალად სათეატრო მწერლობის მნიშვნელობისა; უწერია სხვა და სხვა წერილები და პიესებიც; სამწუხაროდ მისმა ნაწერმა პიესებმა ჩვენ დრომდე ვერ მოაღწიეს. მე ბევრისაგან გამიგონია, **„ყვარყვარე ათაბაგი“** მისი დაწერილიაო. ეს პიესა გ. ერისთავმა 1853 წ. „ცისკარში“ დაბეჭდა თავი სახელის მოწერით.

მეიფარიანი, მოღვაწე მსახიობი 1850 წ. თეატრისა. დასწერა რავდენიმე პიესა, ერთი ამ პიესათაგანი—**„ქმრები გავაბით მახეში“** დაიბეჭდა 1852 წ. თბილისში. ეს პიესა დღესაც მოიპოვება. 1855 წლამდე ეს პიესა რავდენჯერმე უთამაშნიათ. მე ხშირათ გამიგია იმ დროის თეატრის მოღვაწე პირთაგან, რომ ქართველებში თეატრის სიყვარულმა ისე მალე გაიდგა ფესვი, მსახიობნი ისე წახალისდენ, რომ ყველა მსახიობთაგანი ცდილობდა, რამე პიესა დაეწერაო, ამიტომ მსახიობნი სწერდენ პიესებს, ხოლო, სამწუხაროდ, მათს ნაწერებს საზღვარი დაუდო 1855 წ, თეატრის მოსპობამაო. ზოგის ნაწერები იმ დროს უთამაშნიათ კიდეც. ხელთნაწერობით ჰქონიათ, მაგრამ ჩვენ დრომდე ვერ მოაღწიეს.

დიმიტრი მელვინეთხუცესოვი, განათლებული ქართველი, მოყვარე მცოდნე საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. მწიგნობარი, წევრი და კორესპონდენტი პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიის, ცნობილი პირი თავის დროს. თანამგრძნობი ქართველი ერის განათლების და სათეატრო საქმეების. სათეატრო მწერლობას ხელი მიჰყო 1844 წ. დიდს ყურადღებას აქცევდა ადგილობრივ ქართველთ ცხოვრებას. მე იგი გავიცან დიმიტრი ბაქრაძის სახლში 1878 წ. ბევრი რამ ცნობები მელაპარაკა 1850 წ. ქართული თეატრის შესახებ. გარდაიცვალა 1885 წ. ღრმად მოხუცი. დაწერილი აქვს სხვა და სხვა პიესები: ორ მოქმედებიანი კომედია **„კატა აწონა“**. პირველად დაიბეჭდა 1866 წ. გაზ. **„დროებაში“**. მერე ცალკე გამოიცა ორჯერ, სცენაზედაც ბევრჯელ ითამაშეს; მეორე ორ მოქმედებიანი კომედია **„ექიმბაში“**, ჯერ გაზეთში იყო დაბეჭდილი და მერე 1876 წ. ცალკე გამოიცა. მესამე კომედია,—**„ჩემი ქმარი სხვას ირთავს“**, მეოთხეც ერთი პატარა კომედია ძველი „დროების“ ფელეტონში არის დაბეჭდილი: ყველა ეს პიესები დაწერილია 1850 წლამდე, ხოლო ბეჭვდას კი 1866 წ. შემდეგ ეღირსენ.

ალექსანდრე სიმონის-ძე გარსევანოვი

სწერდა კომედიებს. ამის ორ-მოქმედებიანი კომედია „**ცოლები დავკარგეთ**“ 1881 წ. მე დავბეჭდე. თვითონ მოამბო, კომედიებს მე 1850 წლამდე ვსწერდიო. ამავე ჰარის სიტყვით, ქართველთ შორის გ. ერისთავსა და ზ. ანტონოვს კარდა მრავლად იყვენ ისეთი ჰარნი, რომელნიც 1850 წ. ჰიესებს სწერდენო.

ზ. ჭიჭინაძე

(შემდეგი იქნება)

გაზაფხული

ოხ, რა კარგია, რომ გაზაფხულზე
მაისის ვარდი გადიფურჩქნება,
და მასზედ მორცხვად მგრთალი ბულბული
გულ-მკვნესარ ჭანგით აქვითინდება!?.

—:—

მის დამთრობელ ტიკტიკის ხმაზე
მკვდრიც რომ ვიო— გამეღვიძება:
ჩემი იმედი, დრმად ჩამარხული,
ბნელ სამარიდან მკვდრეთით აღსდგება!...

გ. შიხიანი



ოპერისმომღერალნი

მ. დ. ნანობაშვილი (დ,არიალი)

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ბუნებისაგან უხვად დაჯილდოებულს ჩვენს ქვეყანას ხანგამოშვებით ებადება ისეთი შვილნი, რომელიც ევროპიის სცენის სიამაყენიც-კი ხდებიან.

სიხარულის გრძნობით გწერთ ამ სტრიქონებს ჩვენი თანამემამულის მ. ი. ნანობაშვილის წარჩინებით იტალიებული, მაგრამ ამავე დროს სევდა მიპყრობს, რომ ჩვენს ქვეყანას ჯერ კიდევ ვერ მოუხერხებია საოპერო დასის შედგენა, ქართულ ოპერათა სისტემატიურად დადგმა.

ხუთი თუ ექვსი წელიწადი იქნება, რაც მიხეილ იროდიონის ძეს ნანობაშვილმა (სცენაზე დ,არიალი— Michel d,Arial) თავი ისახელა, რომელიც ამ ჟამად მომავალი სეზონისათვის ალეკრის საოპერო თეატრშია მიწვეული ბარვედ ტენორად. მმა ნ გაათავა თბილისის კლასიკური გიმნაზია, შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტში განაგრძო სწავლა და იმავე დროს კონსერვატორიაში მეცადინეობდა. მუსიკის სიყვარულმა ისე გაიტაცა, რომ უნივერსიტეტს მესამე კურსიდან მინება თავი და მუსიკის საფუძვლიანად შესწავლას შეუდგა ბარვედნანად ბრიოფესორ გაბელიან, ხოლო შემდეგ ფერი ჯირალდონთან. მალე იტალიის გაემგზავრა და მილანის თეატრში იმღერა. იმავე დროს მეცადინეობდა იტალიის საუკეთესო მუსიკოსების ხელმძღვანელობით. რავდენსამე ხანს მილანის კერძო თეატრში მღეროდა, შემდეგ გაიწვიეს ნიცაში, იქიდან მონტეკარლოსა და საფრანგეთის სხვა და სხვა ქალაქთა საოპერო თეატრებში. მარტსა და აპრილში არტისტიულ ტურნეში იღებდა მონაწილეობას, იყო ბალკანეთის ზოგიერთ ქალაქებში და სტამბოლშიაც. ერთს სეზონს პეტერბურგში იყო და საზაფხულოდ კისლოვოდსკში. მღეროდა აგრედვე ბარიზის Opera Comipue- ში.

ამას წინად ბარიზში გამართულ ქართულ საღამოში მონაწილეობა მიიღო და ქართულადაც იმღერა, რითაც აღტაცებაში მოიყვანა მსმენელნი.

მუსიკის მცოდნენი დიდს მომავალს უწინასწარმეტყველებენ ჩვენს თანამემამულეს.

დრ. პარიზელი

წ. კ. ამასთანვე გიგზავნით მ. ი. ნანობაშვილის სურათს, ახლახან გადაღებულს. **დ. პ.**



მომღერალი ელენე თარხნიშვილი

გაზეთების ცნობით, ედ. თარხნიშვილი დიდი ეურადღება მიუქცევია მუსიკის.

მედოდნედ მცოდნეთა. ეი რას მოგითხრობს ადელური გაზეთი; „ბეტოვენეშულმა ემმა. დოტტიმ მოგვასმენინა უვის მოწაფის ახალგაზდა არტისტი ჯულის ედენე თარხნიშვილის სიმღერა: ე. თ—ს მშვენიერი და სასიამოვნო ხმა აქვს, მღერის გრძნობით, ახალგაზდა მომღერალს მომზადებული აქვს „ფაუსტი“, ,,რიგოლეტო‘‘, ,,მანონ‘‘, ,,დონ-ბასკუეული‘‘ ,,ბალ-მასკარადი‘‘. ზემოხსენებულ ოპერებიდან ნე. თ—მა შესრულა სხვა და სხვა ადგილები. აგრედვე იმღერა ,,ტრაკიატა‘‘ დანარია.

ახალგაზდა მომღერალ გულის დადებული მოგეული აქვს“.

მთვარე...

(ვუძღვნი ნინოს)

მთვარე, მთვარე, ტურფა მთვარე,
შუბლ გახსნილო, მოელვარე,
ობოლ მგზავრის სანუგეშოდ
ბნელ ღამეში ცას მოარე.

გავსილი და გაბადრული
გადმომყურებ ლურჯი ცითა...
მიყვარს, მიყვარს შენი სახე—
შემოგყურებ ღიმილითა.

ი. მჭედლიშვილი

შანტეკლერი— განთიადის მომღერალი

Chante Cler—ედ. როსტანისა

(წერილი პეტერბურგიდან)

როგორც ჩვენის ჟურნალის წინანდელ ნომრებში (№ 5 და 9) იყო ალნიშნული, დიდი მოთქმა-მოთქმა გამოწვია სოფრანგეთის სახელგანთქმული მგოსნის ედ. როსტანის ორ ჩვეულებრივი შინაარსის პიესამ „**შანტეკლერი**“-მ.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი არ მოსწონთ იგი, როგორც სასცენო ნაწარმოები, სოფრანგეთის კარედ სხვა ქალაქთა სცენები მოიარა და ამ დღეებში თბილისის სახსნინო თეატრის სცენაზედაც იხილავს საზოგადოება. ამიტომ ურიგო არ იქნება ქართველ მკითხველს მოკლედ გავეცნოთ პიესის შინაარსი.

„შანტეკლერი“ დაწერილია მშვენიერი დექსით, მაგრამ მსმენელთა ყურადღებას იპყრობს, როგორც მოქმედ პირებით, ისე მოწყობილებით, რომელშიაც სწარმოებს მოქმედება. პიესა ორ ჩვეულებრივია. „შანტეკლერი“ სტირსა ახლანდელი ფრანგების ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულებათა, მხოლოდ ეს სტირი ჩასმულია მხატვრულ მოქმედ-პირთა ჩარჩოში და მოკარაუებულია ფანტასტიური ელემენტით.

პირველი მოქმედება სწარმოების სოფლიმეში, რომლის მბრძანებელი შანტეკლერი თავის თავს მზის მეფედ სთვლის. შანტეკლერი-ს რწმენა დამკარებულია ამ აზრზე, რომ მზე ემორჩილება მის გამარჯვების „ეიე-ლა-ეოს“, და ეოველ დილით გასძახებს თუ არა „ეიელიეოს“, მზემ უნდა გაანათოს დედა-მიწა. მაუხლავად ამისა შანტეკლერი დიდად ითვსებს მზეს და მედიდური ჭიმნით შეამკობს (ეს ჭიმნი საუკეთესო სტენაა პირველ მოქმედებაში). სხვა და სხვა ჯიშის დედები ეტრფიან და თავს ევლებიან საინტერესო „გულთა-მხიბლავს“, რომელიც მკაცრად ეპერობა მათ. მაგრამ დედლების ადერსი მობეზრებია; მას მოსწყინდა საქათმისა და საენეხვის ერთფეროვნება, როგორც ქათმების ჭორიკანობა და უფერული ცხოვრება. მინდორ-ველი, გაუველელი, დბურული ტეე — აი რა იზიდავს მას. შანტეკლერს სწყურია თავისუფალი სიყვარული, მის გრძნობას ადელვებს თვალ-წარმტაცი სილამაზე, კოშეაობა ფაქიზი ქალბატონის ხოხობისა. საქათმის ეროგული დარაჯი—ნაგაზი ამოდ ცდილობს დაანახვოს განსაცდელი, რომელიც მოელის შანტეკლერს მოგზაურობის დრო; შანტეკლერი დასტანის მის სიფრთხილეს.

ტეეში კი—დამის მტაცებელ ფრინველთა შეთქმულებაა შანტეკლერ — მზის მეფის წინააღმდეგ. შეკრებილან ბუანი, ჭოტნი და დამურანი; მათ შანტეკლერის დაღუპვა ჭსურთ, რადგან დარწმუნებული არიან მის დაღუპვასთან ერთად მზესაც მოეღება ბოდო. ისინიც, როგორც შანტეკლერი, წარმოსთქვამენ ჭიმნს — მხოლოდ ჭიმნი მიმართულია მტაცებლობის მფარველ ,,სუკუნო დამისადმი''. მათ მხარს უჭერს შავი შაშვი, რომელიც გესლით სავსე რითმებით დასცინის შანტეკლერის ბრწყინვალებასა და მედიდურებას. შეთქმულებაში მონაწილეობას იღებენ ეგრეთვე ბაუაუები და ბუები. გაანსწეგიტენ შანტეკლერი შეიტუეიდონ ახალგაზრდა მამალთან ბრძოლაში, რომლის გამარჯვებაში დარწმუნებული არიან; ამათვე ეკუთვნის ქალბატონ ხოხობის გული შანტეკლერი შემოხვევით წაეწყება მათ ალერსს.

მოხდება შეტაკება შანტეკლერის და ახალგაზრდა მამალის შორის. ეველასთვის მოულოდნელად შანტეკლერი გამარჯვებული რჩება. ახალგაზრდა მამალი დამარცხებული გდია მიწაზე, ქალბატონი ,,ხოხობი''-ეი ფრთების ფართხუნით და ქების ხმით ეგებება გამარჯვებულს. მაგრამ შანტეკლერს ბძო-

ღისაგან ძალა წაერთო. ,,დუეტის შემდეგ'' იქავე დაეცემა დედამიწაზე. ასეთი შეხვედრით ცოტათი იმედ-გაცრუებული ქალბატონი ,,ხოხობიც'' იმისვე გვერდზე იძინებს.

უკანასკნელი მოქმედება—ძლიერმოკლეა... შანტეკლერს გამოეღვიძება და მაღლა ცაზე ბრწყინავ მზის დანახვაზე გაშტერდება: როგორ მოხდა ეს, რომ მზე ჩემს უბრძანებლად გამოჩნდა!? მაშასადამე მზეს უ ყიულიყოდაც ,,შესძლებია ამოსვლაო''. შანტეკლერი განადგურებულია.

იგი გადასწყვეტს გამოეთხოვოს ტყის თავისუფალ ცხოვრებას და დაბრუნდებ საქათმეში თავის დედლებთან.

სოგოლი

მ უ ზ ა ს

რა მემღერება! დე მან იმღეროს,
ვისაც უღიმის ბედნიერება,
მე-კი არ ვიცი, რა არის შვება,
შავი ნაღველი გულს არ ეშვება.

ცათ კაეშანი გამეფებულა,
ძილი სწვევიათ მთისა მწვერვალებს,
მწუხრის ზეწარში გამოხვეული
ხევში ნაკადი ჰგოდებს, ვალალებს.

სძინავს სამყაროს, ნისლით დაბრულს,
გაუმჭვირვალე ღამეა ბნელი,
აღტყინებულან საფლავით მკვდრები,
დაძრწის, განგაშებს ძირს ბელზებელი.

ბოროტი ღიმით პირზედ სატანა
განადგურებას უქადის სოფელს,
რისთვის დასტოვე, მუზავ, პარნასი,
რისთვის დაშორდი ღმერთთა სამყოფელს?

დასწყდენ სიმები.... ჩანგიც მდუმარებს
ვერა, მონობას ველარ უმღერებს!
ამაო არის, მუზავ! ღიმილი,
ეპატრონება სოფელს სიკვდილი.

ტ. ტაბიძე

სათეატრო ამბები

ქართ. დრამ. საზოგ. გამგეობა უკვე შეუდგა მომავალი სეზონისთვის დასის შედგენას.

თავ. -აზნ. თეატრი საზამთრო და საზაფხულო ბაღითა და რესტორანებით სამი წლით აიღო ქართ. დრ. საზოგადოებამ, სულ 16000 მან.

მოსკოვის დრამა პელტცერისა 30 მაისიდან დაიწყებს წარმოდგენებს ქართ. საზაფხულო თეატრში.

სახაზინო თეატრში ამ მოკლე ხანში წარმოდგენილი იქნება „შანტეკლერი“.

ახალმა რეჟისორებმა ვ. გუნიამ და ვ. შალიკაშვილმა უკვე წარუდგინეს გამგეობას მომავალი რეპერტუარის გეგმა.

ამ ახლო ხანში მოწვეული იქნება ქართ. დრამ. საზოგადოების კრება.

დრამატ. საზ. სასარგებლოდ მაისის შუა რიცხვებში ქართულ საზაფხულო თეატრში კნ. ან. ალ. მაჩაბლის თაოსნობით გაიმართება სეირნობა (დღისით) და დიდი მოურავის გიორგი საეაძის გასამართლება (საღამოთი).

ახალგაზდა მუსიკოსი კ. ფოცხვერაშვილი ბეჯითად ამზადებს საკონცერტოთ მომღერალთ გუნდს. კონცერტი გაიმართება 16 მაისს.

გამოსაცდელი წარმოდგენები ქარ. დრ. საზოგ. გამგეობას აზრად აქვს მაისში გამართოს გამოსაცდელი წარმოდგენები, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ქართულ სცენაზე მოღვაწეობის მსურველნი. წარმოდგენებს დაესწრობიან მხოლოდ მსახიობნი და პრესის წარმომადგენელნი. დრამატ. საზოგად. გამგეობაში უკვე რამდენმამ ყმაწვილმა კაცმა და ქალმა შეიტანა განცხადება გამოსაცდელ წარმოდგენაში მონაწილეობის მისაღებათ.

გ. ვ. გედევანოვ-მირაღიანის იუბილე

6 მაისს არტისტიულ საზოგადოების თეატრში დამსახურებულ მსახიობის გედევანოვ-მირადიანის 25 წ. სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად გაიმართა საიუბილეო წარმოდგენა და დღესასწაული. წარმოადგინეს ქართულად: მე-4ე მოქ. მოლიერის ,,ტარტიუფი''-ს და ავ. ცაგარლის ,, ხანუმასი'', მე-2ე მოქ., ხოლო სომხურად გ. სუნდუკიანცის ,,დაქცეული ოჯახის'' 1 მოქ. წარმოდგენამ მწყობრად ჩაიარა.

წარმოდგენის შემდეგ დაიწყო საიუბილეო დღესასწაული. იუბილიარი სცენაზე გამოიყვანეს გ. სუნდუკიანცმა და ნ. გაბუნია-ცაგარლისამ. პირველად მიულოცა საიუბილეო კომისის თავმჯდომარემ დ. ი. მდებროვმა, შემდეგ ქართ. დრამ. საზოგადოების წარმომადგენელმა ნ. ერისთავმა, მხცოვანმა დრამატურგმა გ. სუნდუკიანცმა. წაკითხული იქმნა ადრესები სხვა-და-სხვა საზოგადო დაწესებულებათა, რედაქციათა და კერძო პირთა, სადღესასწაულო ტელეგრამები და სხვა. იუბილიარმა მიიღო 50-მდე მილოცვა კავკასიის და რუსეთის ქალაქებიდან, 30-მდე საჩუქარი: გვირგვინები, ვერცხლეულობა, ფული, წიგნები. დასასრულ საზანდარმა

შესრულდა სიმღერა: „ერთხელ მხოლოდ ისიც ძალში“... და „მრავალჟამიერ“. ნასიამოვნები და მადლიერი საზოგადოება დამის ორ საათზე დაიშალა.

ბი—კო.

ზღაპრული

(შეგობრული ხუმრობა)

ერთ საწალკოტო უცხო მხარეს, ყოველის მხრივ ბუნებით შემკულს, საც მრავალ-რიცხოვანი „რესტორანები“ არსებობდა—თეთრ და წითელ ღვინით სავსე ტიკები ახროვებული იყო.

ამ საუცხოვო მხარეში სხვა ხელობასთან ერთად თეატრალური ხელოვნებაც არსებობდა!

და როგორც ამ ხელოვნებას ეკადრება სათავეში უდგა კაცი მცოდნე და საქმის სიყვარულით აღჭურვილი. ხოლო სუსტი და რბილი ხასიათისა—და თან ერთი ახირებული ზნე სჭირდა... როგორც კი გაახსენდებოდა თეთრი, ან წითელი ღვინო ან მისი სუნი ეცემოდა საიდანმე—მაშინვე საქმეზე გული აუცრუვდებოდა და...

ერთ მშვენიერ დღეს, ამ ფრიად წარჩინებულ კაცს, დრამატიულ ხელოვნების საქმით დაქანცულს, ეცა სუნი სურნელოვან პილატის ცრემლისა.

— ეი, შენ! ჩვენი საყვარელი საქმის ბეჯითო კაცო, გასწი და ტიკითა ერთითა სასმელი იგი აქ მოაგორე!..

და ჯგუფიდან გამოვიდა მოხდენილი წერწეტა ყმაწვილი და ნაზის ნაბიჯით „ბახურისაკენ*)“ გაემართა...

მას ეძახოდენ იუზას!

მაგრამ გავიდა ჟამი და ყმაწვილი იგი არ დაბრუნდა...

სათავეში მდგომი ბრძენი კაცი შეიშმუშნა და მიუბრუნდა იქავ მდგომ ჩასუქებულ და სიცოცხლით აღსავსე ვაჟკაცს, რომელიც გაფაციცებით კარებისაკენ იცქირებოდა, რომ დაენახა იუზას მიერ მოგორებული ღვინით აღსავსე ტიკი იგი!

— რათ იგვიანებს? გასწი და შეიტყე! მალე პასუხი...

ჩასუქესული ვაჟკაცი, რომელსაც ყალაბეგს ეძახოდენ, მარდათ გაუდგა გზასა „ბახუსისასა“.

დაგყიანდა!

ბრძენი კაცი კვლავ შეიშმუშნა.

— რა უბედურებაა, სთქვა მან, ლამის ნერწყვი გამიშრეს! აბა შენ გასწი და წამოაგორე ტიკი იგი!

ჯგუფიდან გამოვიდა შუატანის კაცი, მის გაპარსულ სახეს და ამაყად ამართულ შუბლს ჩაბიჟვინებულის თვალებით ეტყობოდა, რომ წითელ ნუნუას თავს ევლებოდა.

— ამ წუთას, ხელმწიფეო ჩემო, შენს ფერხთით მოვაგორებ სანატრელ ტიკსა! და მძიმე ნაბიჯით გაუდგა „ბახუსის“ გზასა ის, ვისაც პლატონ ფილოსოფოსს ეძახოდენ.

გავიდა დრო და ჟამი!

შეწუხდა ბრძენი, დრამატიული ხელოვნების მეთაური.

— ეი, შენ! ფიცხო, დაუდგრომელო, ულვაშებ აბზეკილო,—მიუბრუნდა იგი იქავ მდგომ მუცელ გამობერილ, მოუსვენარ ყმაწვილს,—გასწი, მონახე თანამშრომელნი ჩემნი! შენ ასეთ საქმეში უფრო დახელოვნებული ხარ!

— Сію секунду, Ваше С—тво! Къ стопамъ вашимъ будетъ доставленъ бурдюкъ полный жизненною влагою!

და მაზურკისებური ფეხების ტყაპუნით გაშპა კაცი ესე, რომელსაც სუფლიორ „პეტიუ ვამ ზავიუტ-ს“ ეძახოდენ.

დაგვიანდა ამასაც!

ეხლა კი თვით ბრძენი კაცი, მეთაური დრამატიულ ხელოვნებისა, მათ გამოუდგა და რა შევიდა „ბახუსსა“ შინა სასიამოვნო სურათი წარმოუდგა თვალებსა მისსა... ჯგუფი ესე მოყუდებოდა ტიკსა უზარ-მაზარსა და ეწაფვოდა ცრემლსა პილატისასა.

ხოლო თვით ბრძენი კი, რომელსაც შალვა რეჟისორს ეძახოდენ, მეორე მხარედან მოეყუდა ტიკის ბოლოს და მოსწუწნა იგი!

—ოჰ, რა საუცხოვო, დიდებული სიზარი იყო!—წამოიძახა ბრძენმა, როდესაც სიმშილ-წყურვილით შეწუხებულმა და უპაპიროზოთ მყოფმა დილით თავის ცივ ოთახში გამოიღვიძა და გაიზმორა!..

ამბაა!

ვანო ბარველი

*) რესტორანია თეატრის ახლოს.

რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი**

სამანუფაქტურო ამხანაგობა

ნაზაროვისა და ოტიევისა

ერევნის მოედანზე, ქალაქის გამგეობის დარბაზის ქვეშ.

ეოველდღე მოსდით აბრაშუმის, მატელის, ტილოს

და ბამბეულის დიდძალი საქონელი

უკანასკნელი მოდისა

ამხანაგობა პატივცემულ ხაზოგადოების ყურადღებას მიაქცევს საქონლის ღირსებასა და დღემდის არ ეოფილ სიიაფეზე **სყიდვა შევუვაჭრებლად** 25—6

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისთვის

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ჩვენი გაზეთი“

1910 წელსაც გამოვა იმავე პროგრამით, როგორც წინად გამოდიოდა. გაზეთი წლიურათ ეღირება თბილისში და თბილის გარეთ 7 მან., ნახევარი წლით 4 მან., საზღვარგარეთ 14 მან. წლით, ნახევარი წლით 7 მან., ხელის მოწერა მიიღება თბილისში „მომავლი“-ს კანტორაში, ბათუმში, სამტრედიაში და ჭიათურში რკინის გზის შკაფებში, ქუთაისში ის. კვიცარიძესთან, ჩოხატარეში ს. თავართქილაძესთან —ზიგნის მაღაზიაში, ოზურგეთში — მ. თალაქვაძესთან, ხიდისთავში ნ. კობიძესთან, ფოთში—პ. ურუშაძესთან.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, тип. „Шрома“, Калистрату Кон. Цуладзе.

ქართული თეატრი

კვირას 16 მაისს გაიმართება

კონცერტი

კ. ფოცხვერაშვილისა

შესრულებულ იქნება:

1. **ქართული ეროვნული სიმღერები** ხოროსა და ორკესტრისათვის შემუშავებული კ. ფოცხვერაშვილის მიერ.

1. „**ბრძოლა ამირანისა ბაყბაყ დევთან**“ სიმფონაური ცოცხალ სურათებიანი ესკიზი მუსიკა კ. ფოცხვერაშვილისა.

2. „**აშენდა საქართველო**“ სცენები ქართველ სტუდენტთა ცხოვრებიდან კ. ფოცხვერაშვილისა.

წარმოდგენის დაწყების წინ ორკესტრი შეასრულებს **დავლურსა** და **ლეკურს** ბალანჩივაძის ოპერიდან (თამარ ცბიერი) მეორე ანტრაქტში შესრულებულ იქნება **ქართული მარშ**ი იპოლიტოვ-ივანოვის სიუიტიდან ,,ივერია'' სიმფონიური ესკიზის ცოცხალს სურათებს დასდგამს მხატვარი ვ. ზომმერი.

ხოროში მონაწილეობას იღებს 100 **ქალი და კაცი** ორკესტრში 40 **კაცი**.

ლოტბარი **კ. ფოცხვერაშვილი.**

განყოფილება „**პროგრესის**“ სტამბისა, ასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა სახლი